.კოლხეთის რელიგია და რწმენა-წარმოდგენები ძველი წელთაღრიცხვის VIII-I საუკუნეებში

„სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.“

მარიამ ქიტესაშვილი

სამაგისტრო პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი დიმიტრი ახვლედიანი

თბილისი, 2025

განაცხადი

„ როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოაგდენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ქიტესაშვილი

2025“.

აბსტრაქტი

კოლხეთი და მასში გავრცელებული კულტურის არსებობა, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში. ამ რეგიონის მაცხოვრებლების რელიგიისა და რწმენა-წარმოდგენების შესწავლა, დახარისხება და ანალიზი საკმაო შრომას მოითხოვს. ამიტომ, აუცილებელია, რომ ეტაპობრივად მოხდეს ამ თემის დამუშავება.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ძვ.წ VIII – I საუკუნეებით დათარიღებული მასალა, ისტორიული წყაროები, მითები, ლეგენდები და მათი სავარაუდო კავშირები ერთმანეთთან. ნაშრომის პირველი თავი სრულიად წერილობით და გადმოცემით მიღებულ წყაროებს ეთმობა. რაც ჩავთვალე, რომ საჭიროა, პერსონაჟების, მათი ისტორიის, რიტუალების, ატრიბუტიკისა და ა.შ. ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად. აქ წარმოდგენილია: ადგილობრივი, ქართული ღმერთები, ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟები, მითრას კულტი, ნახსენებია ეგვიპტური და შუმერული მომენტებიც.

ნაშრომის მეორე, ძირითადი თავი, სრულიად არქეოლოგიურ ნიმუშებს ეხება. სხვადასხვა პერიოდში გათხრილი ძეგლებიდან გამოვლენილი მასალა დაყოფილია ფუნქციურ კატეგორიებად: ჭურჭელი (როგორც კერამიკა, ისე ლითონის); სამკაულები; გლიპტიკა; ქანდაკებები; ნუმიზმატიკა და სატაძრო კომპლექსები. აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში, კატეგორიები ერთმანეთში იკვეთება. მაგალითად, ქანდაკებები და ზოგადად ფიგურები, ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო არა ცალკე, არამედ ნივთის ნაწილად. იქნებოდა ეს ცულის ყუა თუ კერამიკის ნაწილები. აქ განხულულ გლიპტიკის ნიმუშებსაც ორი ფუნქცია ჰქონდათ, როგორც საბეჭდავის, ისე სამკაულის. წარმოდგენილი ნიმუშები გადანაწილდა იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებოდა უფრო მეტად. ეს რათქმაუნდა არაა საბოლოო, გადამწყვეტი დანიშნულება. მხოლოდ ნაშრომის კითხვის პრაქტიკულობისთვის დალაგდა ასე.

ნაშრომში არაა მოცემული ყველა ის ნიმუში, რომელიც შეიძლება გამოსახავდეს რომელიმე ღვთაების სიმბოლიკას და ემთხვევა დროის პერიოდს. ასეთი ნივთები დიდი რაოდენობითაა. ზოგი მათგანი მაშინდელი კოლხეთის საზღვრებს მიღმაცაა, აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილში. ამ ნიმუშების ჩართვა საჭიროებს აბსოლიტურად სხვა სახის ფორმატს. მითუმეტეს, რომ მასალის სიმრავლის გამო, ისედაც ვერ ხერდება უკვე შერჩეული არტეფაქტებიდან, რომელიმეს გამოყოფა უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის.

ვიმედოვნებ, ეს ნაშრომი საფუძველს დაუდებს მომავალ კვლევებს და იქნება ერთგვარი მარტივი შესავალი, პირველი ნაბიჯი ამ თემის სრულად დამუშავებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კოლხეთი, კოლხური, ანტიკური პერიოდი, ელინისტური პერიოდი; ანთროპომორფული, ზოომორული, კერამიკა, ოქრომჭედლობა, სამკაული, ვანი, საირხე, ფიჭვნარი, სატაძრო კომპლექსი, ბერძნული მითები, მითრა, აქემენიდური,

Abstract

Colchis and the existence of culture widespread in it are a very important event in world history. The study, classification and analysis of the religion and beliefs of the inhabitants of this region requires considerable work. Therefore, it is necessary to work on this topic step by step.

This work discusses material dating back to the 8th – 1st centuries BC, historical sources, myths, legends and their alleged connections with each other. The first chapter of the work is devoted entirely to written and oral sources. What I considered necessary to create a general idea of the characters, their history, rituals, attributes, etc. Here are presented: local, Georgian gods, characters from Greek mythology, the cult of Mithras, Egyptian and Sumerian moments are also mentioned.

The second, main chapter of the work is entirely concerned with archaeological samples. The material discovered from the monuments excavated in different periods is divided into functional categories: vessels (both ceramics and metal); jewelry; glyptics; statues; numismatics and temple complexes. It is worth noting that in some cases, the categories intersect. For example, statues and figures in general were often presented not separately, but as part of an object. It could be an axe handle or pieces of pottery. The glyptic samples examined here also had two functions, both printing and jewelry. The samples presented were distributed according to which category they belonged to the most. This is certainly not the final, decisive purpose. It was arranged this way only for the practicality of reading the work.

The work does not include all the samples that can depict the symbolism of any deity and coincide with the time period. There are a large number of such items. Some of them are even beyond the borders of the then Colchis, in the eastern part of Georgia. The inclusion of these samples requires an absolutely different format. Moreover, due to the abundance of material, it is not possible to single out any of the already selected artifacts for a more in-depth analysis.

I hope that this work will lay the foundation for future research and will be a kind of simple introduction, the first step towards fully exploring this topic.

Key search words: Colchis, Colchian, ancient period, Hellenistic period; anthropomorphic, zoomorphic, ceramics, goldsmithing, jewelry, Van, Sairkh, pine forest, temple complex, Greek myths, Mithras, Achaemenid.

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსტეტის ყველა იმ ლექტორს და თანამშრომელს, რომელიც ზრუნავდა, რომ ამ წლების განმავლობაში შემეძინა ცოდნა, უნარები და კიდევ უფრო ღრმა ინტერესი ჩემი სპეციალობის მიმართ.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ დიმიტრი ახვლედიანს, რომელიც დამეხმარა მეპოვა კვლევის არეალი, რომელზე მუშაობაც განსაკუთრებით საინტერესოა ჩემთვის. რომელზე მუშაობასაც, სავარაუდოდ ძალიან დიდ ხანს გავაგრძელებ.

მადლობა მინდა გადავუხადო ვანის, ეროვნულ და მრავალ სხვა მუზეუმს, რომლებიც არასდორს გვიცრუებენ იმედს, როდესაც კვლევისას მათი მასალები და სტატიები გვჭირდება. ასევე, არქეოლოგებს, რომლთა მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, საქართველოს აქვს არქეოლოგიური მონაცემების უზარმაზარი ფონდი. რომელთა შრომის შედეგადაც ნათელი ეფინება და სათანადო ყურადღება ექცევა დამარხულ და მივიწყებულ კულტურებს. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ მკვლევარს, ვინც საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, ქართული მითოლოგია და რწმენა-წარმოდგენები შესწავლა, გამოიკვლია და არ მოგვცა მათი დავიწყების უფლება.